# მართლმადიდებელი ბიბლეისტები სირიის ორთოდოქსალური ეკლესიის სემინარიას ეწვივნენ



2021 წლის 9 ივლისს სირიის ორთოდოქსალური ეკლესიის საღვთისმეტყველო სემინარიას, რომელიც ქალაქ სედნაიაში (სირია) მდებარეობს, მეცნიერ-ბიბლეისტები ეწვივნენ – მინსკის სასულიერო აკადემიის პროფესორი არქიმანდრიტი სერგი (აკიმოვი) და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის წარმომადგენელი ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურთან იღუმენი არსენი (სოკოლოვი), რომელიც იმავდროულად წმინდა მოციქულთასწორთა, კირილესა და მეთოდეს სახ. ზოგადსაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტორანტურის მთავარი მეცნიერ-მუშაკია.

სტუმრებს შეხვდა სედნაის ეპისკოპოსი მარ იაკუბ ბაბაუი. მის კაბინეტში შედგა ხანგრძლივი საუბარი,

რომლის მსვლელობისას ეპისკოპოსმა იაკუბმა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს უამბო მასზედ რწმუნებული სემინარიის ისტორია და მისი თანამედროვე მდგომარეობა, სადაც სტუდენტი-ღვთისმეტყველები სწავლობენ სირიის სხვადასხვა პროვინციიდან, ასევე ერაყიდან. მან აღნიშნა განსაკუთრებულობა სასწავლო პროცესისა, რომლის დროსაც საგანგებო ყურადღება ეთმობა სირიული ენისა და სირიული და არამეული ბიბლიური ტრადიციების შესწავლას.

საუბარი აგრეთვე შეეხო აკადემიურ ურთიერთობასა და სტუდენტთა გაცვლით პროგრამას რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და სირიის ორთოდოქსალურ ეკლესიას შორის. ეპისკოპოსმა იაკუბმა დაინტერესება გამოხატა თავისი სემინარიის კურსდამთავრებულთა სწავლასთან დაკავშირებით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო სასწავლებელთა მაგისტრატურებში, კერძოდ, ბიბლიური მიმართულების მაგისტრატურებში.

საუბარში ასევე მონაწილეობდნენ მინსკის სასულიერო აკადემიის რექტორის თანაშემწე ა. ა. ოვჩაროვი და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის წარმომადგენლის თანაშემწე დიდი ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქთან გენერალი სამირ ზახლავი.

შემდეგ სტუმრებისათვის მოეწყო ექსკურსია სემინარიაში. არქიმანდრიტმა სერგიმ, იღუმენმა არსენიმ და მათმა თანხმლებმა პირებმა დაათვალიერეს ბიბლიოთეკა და სასწავლო აუდიტორიები.

*სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური*

*დამასკოში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის*

*წარმომადგენლობის ინფორმაციაზე დაყრდნობით*

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87697/